საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

2024 წლის 30 აგვისტო

№ 122

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ წინასაარჩევნო რეკლამის გაშვების მიზნით ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის ტარიფების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევო კოდექსი" 50(1) მუხლის, ასევე, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-7 პუნქტის და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დებულების მე-5 მუხლის 5.3.2. ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერში ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების ტარიფები განისაზღვროს თანდართული სახით.
2. წინამდებარე ბრძანება ძალაშია 2024 წლის 6 სექტემბრიდან და მოქმედებს 2024 წლის 26 ოქტომბრამდე.

დანართი 1 ფურცლად.

გენერალური დირექტორი თინათინ ბერძენიშვილი

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გამოყოფილი

ფასიანი პოლიტიკური რეკლამის შესახებ ინფორმაცია

საზოგადოებრივი მაუწყებლის **პირველ არხსა** და **საქართველოს რადიოზე** წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო (პოლიტიკური) ფასიანი რეკლამის განთავსებისთვის საეთერო დრო გამოყოფილია 2024 წლის 6 სექტემბრიდან 2024 წლის 26 ოქტომბრამდე პერიოდში, როგორც კვალიფიციური, ისე არაკვალიფიციური სუბიექტებისთვის.

საზოგადოებრივი მაუწყებლის **პირველ არხზე** და **საქართველოს რადიოზე** ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი საეთერო დროის ხანგრძლივობა ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის, შეადგენს 60-60 წუთს ყველა სუბიექტისთვის ერთად.

ფასი მოცემულია ლარში და ითვალისწინებს დღგ-ს.

სარეკლამო დროის ტარიფი:

პირველი არხი			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია *(1 წთ. ფასი ლარებში) დღგ-ს ჩათვლით*	
		გადაცემამდე	გადაცემაში
07:27-11:59	ორშაბათი - კვირა	935	935
12:00-17:59	ორშაბათი - კვირა	1 100	1 100
18:00-00:59	ორშაბათი - კვირა	3 300	3 300
01:00-02:00	ორშაბათი - კვირა	605	605

საქართველოს რადიო			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია *(1 წთ. ფასი ლარებში)დღგ-ს ჩათვლით*	
		გადაცემამდე	გადაცემაში
07:27-11:59	ორშაბათი - კვირა	220	220
12:00-16:59	ორშაბათი - კვირა	165	165
17:00-20:59	ორშაბათი - კვირა	275	275
21:00-02:00	ორშაბათი - კვირა	132	132

30 აგვისტო 2024 წ.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი

გენერალური დირექტორი

თინათინ ბერძენიშვილი